



# ახალი განათლება

29.11-05.12.2018

№36 (830) განმოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

## ამოწერა თუ არა თავისი მისია თვითთავისთვის ჩიტხვარება



გვერდი 2

ღირაქტორი

## ღირაქტორი სკოლაში მიმდინარე პროცესების სათავეში მყოფი ფიგურაა

ჰიმბლემა მოსწავლის აღზრდაში სასკოლო საზოგადოების ახს-  
თანაბარი ჩაბრუნება. მასწავლებელი-მოსწავლე-მშობელი თანაბარი  
ღობით უნდა მონაწილეობდნენ მოსწავლის სწავლა/სწავლების დი-  
ნამიუხი ჰიმოცესში. მიიქნეტიხების და სამომავლო გეგმების დასახ-  
ვა ეხომბლივი ფიქრის, მეშაობის შედეგად უნდა ხედობდეს, ხაც  
მისი შესხელების ეხთ-ეხთი გახანტი გახედება.

მოხის დანდუხიშვილი

სსიპ ჯანაქ საშუაის №1 საჯარო სკოლის დირაქტორი



გვერდი 3

გამოცდავი – 2019

**ჩემი რეკომენდაცია,  
მოსწავლევს მივცეთ  
გადაბარების შანსი**  
რა ცვლილებები იგეგმება  
CAT-ის გამოცდაში

გვერდი 3

სამოღალო გაკვეთილი

**მექანიკური რხევა  
MEXANIKI RƏQSLƏR**

გვერდი 4

ერთიანი ეროვნული გამოცდავი – 2019

**სამამოსლო ტესტების  
ნიმუშები გერმანულ და  
რუსულ ენებში**

გვერდი 6

მანდატურის სამსახური

**მანდატურის სამსახური  
ანტიბულინგური  
კამპანიაში ჩართო**

გვერდი 9

გამოცდილება

**სწავლა-სწავლების  
პროცესს მორგებული  
კოკულარული საბავშვო  
თამაშები**

თამაშით სწავლების  
გამოცდილებას გვიზიარებს  
ბათუმის №9 საჯარო სკოლის  
პედაგოგი რუსულან ნაღარაიშვილი

გვერდი 10



პროფესიული განვითარება

ამონურა თუ არა თავისი მისია თვითშეფასების კითხვარმა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში მოსალოდნელ ცვლილებებზე კულუარულად უკვე საუბრობენ და ამბობენ, რომ უახლოეს პერიოდში ოფიციალურად გაასაჯაროებენ, თუმცა, რამდენიმე სავარაუდო ცვლილება ცნობილია, ერთ-ერთი თვითშეფასების კითხვარის გაშუქებას ეხება. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი, რომლის სავალდებულო შემადგენელი, აღარ იარსებებს და ის მხოლოდ სარეკომენდაციო სახით დარჩება, ანუ მასწავლებელს, რომელსაც მისი შედეგის სურვილი ექნება, შეაძლება კიდევ, მაგრამ აღარ ექნება ვალდებულება. სავარაუდოდ, ამ სახით დარჩენილ კითხვარს შევსების მსურველი ნაკლები გამოუჩნდება, რადგან, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, კითხვარის შევსება

მასწავლებლებს მიძინებთ ანვით და ამბობდნენ, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, როცა ისედაც ბევრი საქმე აქვთ გადაგზავნიან, კალინ დიდ დროს აპარებინებდნენ. ამის გარდა, გარკვეულ გაშუქებებსაც კი უქმნიდათ – ნაწილს უჭირდა კიდევ მისი დამოუკიდებლად შევსება და, საჭიროების შემთხვევაში, ფასილიტატორები ეხმარებოდნენ. როგორ შეხვდნენ აქვთ ამბობენ და ფასილიტატორები დაანონსებულ ცვლილებას, შეავსებენ თუ არა (თუნდაც მცირე ნაწილი) უკვე არასავალდებულო თვითშეფასების კითხვარს და, ზოგადად, რა როლი შეასრულა ამ დოკუმენტმა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში – ამის შეხასხებ მოსაზრებებს გამოთქვამენ ჩვენ მიერ გამოკითხული მასწავლებლები და ფასილიტატორები.



სათუნა ფირცხალაშვილი ქუთაისის №23 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მენტორი მასწავლებელი:

„სქემაში პირველი წლიდან ვარ ჩართული და, შესაბამისად, ყოველ წელს ვაგვსებდი თვითშეფასების კითხვარს. ისე, როგორც ყველა სიახლე, კითხვარის შევსებაც, გარკვეულ სიონთულებს ქმნიდა და მასწავლებლები დაბრკოლებებს ხვდებოდნენ. შემდეგ უფრო იოლდება ხოლმე ყველასთვის ყველაფერი, ეს პროცესიც გაიოლდა და რუტინულად იქცა. რაც შეეხება სირთულეებს, პირადად ჩემს ჯგუფში, რომ ვითხრათ, ამის გამო მასწავლებლები ნუნუნებდნენ-მეთქი, არასწორი ვიქნები, რადგან აღარ უჭირდათ შევსება.“

რაც შეეხება თვითშეფასების კითხვარის მნიშვნელობას, იდეაში ცუდი ჩანაფიქრი არ იყო – სამოქმედო გეგმა შემდეგ სწორედ ამაზე უნდა მიება მასწავლებელს. მაგრამ, მინდა ვითხრათ, რეალურად, ეს ასე არ მოხდა. ჩემს პირად მაგალითზე ვერ ვიტყვი, რომ მასწავლებლები ვერ აენწყენენ, მაგრამ ზოგადად, შემოიძლია ვთქვა, რომ კითხვარი თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რატომ? პირველ რიგში, ალბათ, იმიტომ, რომ მასწავლებლები თვითშეფასებისას გულწრფელები არ იყვნენ (ზოგადად ვსაუბრობ და არა ჩემი სკოლის მაგალითზე). ჯიპრადის ტრენინგიც ვარ, ბევრ სკოლაში მინედა სიარული და გარკვეული ინფორმაცია მაქვს ამის თაობაზე. რეალურად ვერ განხორციელდა თვითშეფასების კითხვარის ფუნქციის ჩანაფიქრი.

მართალია, კითხვარის შევსება ჩემი ჯგუფისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა, ძალიან მონერვივებული ვიყავი მყავს, მაგრამ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილისთვის ეს მძიმე ტვირთად იქცა. ძირითადად, კითხვარის შევსება მაინც გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის მასწავლებლებს უჭირდათ, მათგან ინტერესიც ნაკლები იყო. ახალგაზრდებში კი ეს პრობლემა არ მქონია. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მგონია, რომ ახალბედებისთვის არ იქნებოდა ცუდი თვითშეფასების კითხვარის შევსება, რადგან მათ აუცილებლად სჭირდებათ შეფასება, სადა არიან და საით წავიდნენ ან რა აქტივობები დაგეგმონ წინსვლისთვის. საერთო ჯამში, თვითშეფასების კითხვარმა, პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაში, ძალიან მცირე პროცენტით შეიტანა საკუთარი წვლილი. ახლა, როცა სავალდებულო აღარ იქნება კითხვარის შევსება, ვფიქრობ, უმეტესი ნაწილი მას აღარ შეავსებს.

ახლახან ვავხდი მენტორი მასწავლებელი და ვერ გეტყვით, რომ თვითშეფასების კითხვარი რამე დაძვინძვრა. გარკვეული ლოგიკური ბმა ნამდვილად იყო – წლის დასაწყისში კითხვარს ავსებ, შემდეგ ადგენ სამოქმედო გეგმას და გეგმავ წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ამას ისედაც ვაკეთებდი. შესაბამისად, თვითშეფასების კითხვარის გარეშეც ვაკეთებდი იმას, რაც ვაკეთებ. მიზანი მქონდა დასახული და მაინც დამაინც მისი ფორცულზე გადატანა ბევრს ვერაფერს მომცემდა და დიდად არ შეიცვლებოდა ჩემთვის რამე – წლის დასაწყისშივე ვიცოდი, რა მქონდა ვასაკეთებელი წლის განმავლობაში.

სავალიტიტატორო ჯგუფში 12 მასწავლებელი მყავდა (ახლა 11-ია) და, თავისთავად, როგორც ფასილიტატორს, კითხვარის გაუქმებით მუშაობა უდავოდ გამიადვილებდა, რადგან ნამდვილად შრომატევადი პროცესი იყო.“



ინგა ალავიძე ქუთაისის №23 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი:

„სიმართლე გითხრათ, თავიდან ძალიან აქტიურად ვავსებდი კითხვარს, მაგრამ შემდეგ მივედი რაღაც ეტაპზე, როცა ეს პროცესი ერთი და იმავე ადგილის ტკეპნად იქცა. თვითშეფასების კითხვარში ქულობრივად უნდა შეგეფასებინა საკუთარი თავი – 1-დან 4-მდე. ჯერ 2 შემოვსებ, მერე განვითარდი ტრენინგებით თუ კოლეგებთან ურთიერთკავშირით, რაღაცები დაგვხვნი და 3 შემოვსებ, შემდეგ წელს უკვე ავედი მაქსიმალური შეფასების ქულაზე – 4-ზე. ამის იქით კი აღარ იყო მოსაძინებელი, არც რეფლექსია იწერებოდა, ანუ ერთ ადგილზე ვავიყინე. თავისთავად, გარკვეული როლი ჩემს პროფესიულ განვითარებაში თვითშეფასების კითხვარმა შეასრულა, მაგრამ შემოიძლია ვითხრათ, რომ საკუთარი თავი ამოწურა.“

პირველად, როცა თვითშეფასების კითხვარზე მუშაობა დაიწყო, რამდენიმე მასწავლებელი ერთად ვმუშაობდით და

ფასილიტატორიც გვეხმარებოდა გარკვევაში, მაგრამ შემდეგ არავის დახმარება აღარ დამჭირვებია. მე შეფასების ჯგუფის წევრიც ვარ და, აქედან გამომდინარე, სხვისთვის უფრო გამინეცია დახმარება. საბოლოო ჯამში, გეტყვით, რომ თვითშეფასების კითხვარმა თავისი მისია ამოწურა და რაც მთავარია, მისი გაუქმებით სამუშაო დროც გამოვითავისუფლდებოდა. მართალია, ბოლო ორი წელია, კითხვარი უფრო გამარტივდა და ნაკლები დროც დამჭირდა, მაგრამ თავიდან კვირაც კი მოვანდომე მის შევსებას, ბევრი ვიშრომე. ახლა, როცა სავალდებულო აღარ იქნება მისი შევსება, ალბათ, აღარავინ შეავსებს, ერთი და იმავეს კეთებას მირჩევენია, სხვა უფრო სასარგებლო რამ ვაკეთო.“



ელისო აბრამიშვილი საჩხერის №2 საჯარო სკოლის ქიმიის უფროსი მასწავლებელი:

„თვითშეფასების კითხვარზე ფასილიტატორის პოზიციიდან ვაკეთებ შეფასებას და გეტყვით, რომ მოხარული ვარ მისი გაუქმებით. შევეცდები ავხსნა, რატომ ვემხრობი კითხვარის გაუქმებას – დაიწყეთ იმით, რომ მასწავლებლები კითხვარის შევსებას პასუხისმგებლობა არ ალიქვამდნენ, ძირითადი დატვირთვა ერთეულ მასწავლებლებზე მოდიოდა და შესაძლებელი იყო, როგორც ფასილიტატორს, შენი ფასილიტაციის ქვეშ მყოფი ადამიანის კითხვარი შეგვესო. აქედან გამომდინარე, მასწავლებელთა უმეტესობის სურვილი იყო, კითხვარი გაუქმებულიყო. ალბათ, იმიტომ, რომ ფიქრობდნენ, მას არ ჰქონდა ფუნქციური დატვირთვა. შესაბამისად, არც მისი შემოწმება და კონტროლი ხდებოდა. ჩემი აზრით, ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყოველი წლის დასაწყისში შეადგინოს თავისი სამოქმედო გეგმა, აიტივირობა eshool-ში და მოხდეს მისი განხილვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრიდან კი – კონტროლი, თუნდაც საფეხურის შეცვლის დროს – სტატუსის მინიჭებისას – სამოქმედო გეგმას მიეცეს ფუნქციური დატვირთვა. პრინციპში, ეს უნდა იქცეს მასწავლებლის სამაგიერო დოკუმენტად – რა უნდა აკეთოს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.“

ჩემი აზრით, თვითშეფასების კითხვარმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის დიდი როლი ვერ ითამაშა, მცირე როლი – ალბათ, მხოლოდ ერთეულებისთვის, უმრავლესობისთვის კი – არა. თავისთავად, როგორც ფასილიტატორს, შრომა მომაკლდება და გამოთავისუფლებულ დროს სხვა რამეს მოვხმარ, მაგალითად, მეგობარ კოლეგასთან ან ჩემს ფასილიტაციაში მყოფ მასწავლებელთან ერთად დაგვადები და სამოქმედო გეგმას ვაკენრ.“



ქეთი დავლიანიძე თბილისის №28 საჯარო სკოლის ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი:

„მე მომხრე ვარ, თვითშეფასების კითხვარი რომ იყოს, მაგრამ აუცილებლად უნდა მოწმდებოდეს რას ვაკეთებ, უბრალოდ თუ შევასეთი და რეალიზებული არ იქნება, რა თქმა უნდა, აზრს დაკარგავს. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც სამუალებს გვაძლევს, ვაკეთებდნენ თუ ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკა, დაგვეგმობ სიახლეები, სხვადასხვა მიდგომებით ვაკამრავალფეროვნოთ ჩვენი პედაგოგიები.“

თვითშეფასების კითხვარმა დახმარება გამიწია, მაგალითად, აქტივობების დაგეგმვაში, როგორი ურთიერთობა უნდა მქონდეს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, შეფასების სისტემის გაუმჯობესებაში, პორტფოლიოს შევსებაში და ა.შ. ბევრი რამ დავინახე, რასაც არ ვაკეთებდი ან არ ვგეგმავდი და რომლის დაგეგმვამაც ეფექტური მნიშვნელობა შესძინა ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობას. ძალიან კარგია თვითშეფასება, რეალურად ვაფასებ ჩემს სხვადასხვა აქტივობებს.“

წლის დასაწყისში, თვითშეფასების კითხვარის შევსების შემდეგ, ვადგენ მთელი წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც მეგზურის როლს ასრულებს – უკვე გარკვეულად ვიცი რა უნდა ვაკეთო. რაც მთავარია, არა მხოლოდ ვავსებ კითხვარს, არამედ მთელი წელი ვმუშაობ იმის გაუმჯობესებაზე, რაც არ მომწონს ან მიმაჩნია, რომ არაეფექტურია. სიმართლე გითხრათ, არც ისე რთულია კითხვარის შევსება, ხშირად, მასწავლებლები იმაზე ნუნუნებდნენ, რომ ვერ ასწრებდნენ, მაგრამ საკმაოდ დიდი დრო ვაკვებს ამისთვის – ერთი თვე. უკუკავში-

რისთვისაც კარგია – პედაგოგებთან ურთიერთობა კარგ შედეგს იძლევა, რადგან ხშირად ვითვალისწინებთ ერთმანეთის აზრს, რაღაც სხვას ვამოსდის უკეთესად, რაღაც – უნ.

ბოლოს თვითკითხვარში საკუთარი თავი, ძირითადად, 2 და 3 ქულით მაქვს შეფასებულნი. ეს ისეთი დინამიური პროფესიაა, რომ საკუთარ თავზე ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერს უმაღლეს ქულაზე ვაკეთებ. რასაკვირველია, გულწრფელი ვარ საკუთარი თავის შეფასებისას და მივიჩნიე, რომ ურთიერთობა მშობლებთან და ბავშვებთან 4 ქულით შემეფასებინა. ზოგადად, კრიტიკა და შენიშვნა თუ არ მივიღებ, ისე ვერ განვითარდებით. სულ ვეკითხები მოსწავლეებს რა არ მოგწონთ, რა ვაკეთებდით – სხვათა შორის ასეთი დემოკრატიული მიდგომა მათ ძალიან მოსწონთ და თვითონაც გულწრფელები არიან. ასევე მივმართავ ხოლმე მშობლებს – რა ანუხებთ და რისი ვაკეთებდით სურთ. სწორედ მათგან უნდა ნამოვიდეს ინიციატივა, რა შევეცვალო მათ სასიკეთოდ.“

თვითშეფასება, გარკვეულწილად, მოტივატორიც არის, თუმცა, რა თქმა უნდა, რეალისტური უნდა იყოს დასახული მიზანი. რასაც სამოქმედო გეგმაში ჩავწერ, ის აუცილებლად მძღლევს სტიმულს, რომ ამ მიზანს მივაღწიო. ისე როგორც მოსწავლეებს, ჩვენც გვჭირდება შინაგანი და გარეგანი მოტივაცია, ჩემთვის კითხვარი ორივეს მომცემია. არც იმას დაგვიმაღავთ, რომ თავიდან, როცა თვითშეფასების კითხვარი შემოიღეს, მეც ისევე ვნუნუნებდი, როგორც ბევრი ჩემი კოლეგა. თუმცა, ჩემ შემთხვევაში, იმზეტი კომპიუტერული უნარების ცუდად ფლობა იყო. ახლა იმდენად კარგად ვივითვისე კომპიუტერთან მუშაობა, რომ ველარც ამ პრობლემას ვხედავ და, ამდენად, კითხვარის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ნამდვილად არის საუკეთესო ინსტრუმენტი იმისათვის, რაც წინა წელს ვერ ვაკეთებდით, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში დაგვეგმო და უფრო სრულყოფილი ვავსადო. რაც მთავარია, ყოველწლიურად ვერძნობ, რომ პროფესიულად ვიზრდები – არ გვაქვს უფლება, ხვალისდელი დღე წავართვათ ბავშვებს, ჩვენ ყველაფერს ვერ ვასწავლით მათ, მაგრამ, მთავარია, აუცილებლად ვასწავლით როგორ ისწავლონ.“



თინა გომრბაძე თბილისის №28 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე:

„თვითშეფასების კითხვარის შევსება, გამარტივებამდე, მართლა რთული და შრომატევადი პროცესი იყო და პედაგოგებსაც გაუჭირდათ გარკვევა, ამიტომ,

უმეტესად ფასილიტატორებს უნებდათ შევსება, გამარტივების შემდეგ კი – უფრო გაუიოლდათ. ერთიანობაში, უარყოფითად ვერ შევაფასებ, რადგან ვფიქრობ, ერთგვარ მიმართულებას – რა კუთხით და როგორ ვმუშავა – მაინც აძლევდა მასწავლებელს. პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დაკვირვებოდა, ასევე, ყურადღება ვამახვილებინა მოსწავლის ქცევაზე. თუმცა, აქ ერთი რამ არის ყურადსაღები – არ მოწმდებოდა მასწავლებლის მიერ შეესაბამებოდა კითხვარი, რომელიც მხოლოდ მას ჰქონდა წვდომა. ეს ფაქტორიც განაპირობებდა, ალბათ იმას, რომ მასწავლებლები ამ ვალდებულებას ზერელედ ასრულებდნენ. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, რამდენად ობიექტურად ავსებდნენ საკუთარ თავს და რამდენად შეესაბამებოდა თვითშეფასების კითხვარში მონიშნული შეფასების ქულა მათ პროფესიულ მზაობას. არადა, მასწავლებლის თვითშეფასება მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება – გამოავლინოს სუსტი მხარეები და შემდეგ, სწორედ ამაზე დაყრდნობით, შეადგინოს სამოქმედო გეგმა, დაგეგმოს აქტივობები. რეალურად რამდენად სწორად და ობიექტურად მიმდინარეობდა ეს პროცესი, მთავარი ესაა.“

ჩემს მაგალითზე გეტყვით – ის აქტივობები, რაც გეგმაში მენერა, ნაკლებად შევასრულე იმ წელს, მაგრამ გეგმის იქით ძალიან ბევრი აქტივობა განვახორციელე. ასე რომ, ამ კუთხით, ჩემთვის თვითშეფასების კითხვარი გზამკვლევი არ არის, თვითონ სასწავლო პროცესი გიჩვენებს ხოლმე რა უნდა აკეთო, წინასწარ დაგეგმილი აქტივობები შეიძლება მხოლოდ კრედიტ-ქულებისთვის იყოს კარგი. ბავშვების საჭიროებისთვის კი, მთელი წლის აქტივობებს, მე პირადად, არ ვგეგმავ, პერიოდულად ძალიან ბევრ რამეს ვამატებ, რასაც წინასწარ ვერც კი ვანგაზრდებოდა. პირდაპირ გეტყვით, ჩემზე და მასწავლებლების ნაწილზეც, თვითშეფასების კითხვარს დიდი გავლენა არ მოუხდენია, ამიტომაც მისი გაუქმებაც, არა მგონია, ცუდად აისახოს პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად მეგულება მასწავლებელი, რომელიც მის გაუქმებას გააპროტესტებს. თუმცა, თუ დამჩნება, უნდა გამოვიყენოთ, როგორც რესურსი პროფესიული ზრდისთვის.“



# ჩემი რეკომენდაცია, მოსწავლეებს მივცით გადაბარების შანსი — რა სვლილებები იგეგმება CAT-ის გამოცდებში

სკოლის საატესტატო გამოცდებში (ე.წ. CAT) ჩაჭრის შემთხვევაში, შესაძლოა, მოსწავლეს გადაბარების საშუალება მიეცეს — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ, მარიამ ჯაშმა განაცხადა. „ჩემთვის მთავარია, აუცილებლად გადაიხედოს საატესტატო გამოცდები, შემცირდეს დუბლირება და აქცენტი გადაკეთდეს არა ტესტების ჩაბარებაზე, არამედ ტესტების შინაარსობრივ ნაწილზე.“ მისი აზრით, ტესტებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ახლა გვაქვს, უნდა გადავიყვანოთ მოსწავლის განვითარებაზე და მის შემოქმედებაზე ორიენტირებულ სისტემად, რადგან უმთავრესია ხარისხზე ვიზრუნოთ.

„შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის მხრიდან გვექნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. მოგეხსენებათ, 2020 წლიდან, ფუნდამენტური ცვლილება შევა როგორც საატესტატო, ასევე ერთიან ეროვნულ გამოცდებში. მათ შორის უნდა ველოდოთ დუბლირების შემცირების კუთხით გაერთიან-

ბასაც. 2019 წლისთვისაც ველოდები კონკრეტულ ნაბიჯებს და ეს მინისტრის პრეროგატივაა, რომელიც უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი. შესაძლოა, გამოცდებთან დაკავშირებით, 2019 წელსაც ველოდოთ გარკვეულ ცვლილებებს, მაგრამ ეს არ იქნება ფუნდამენტური ცვლილებები. ჩემი პირადი ხედვა არის, რომ დუბლირება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, რადგან არ შეიძლება ერთი და იმავე საგანს ვაბარებინებდეთ ბავშვებს როგორც საატესტატო, ასევე ეროვნულ გამოცდებზე. საერთაშორისო გამოცდილებას თუ გადავხედავთ, იქ არის ერთი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგამოცდო სისტემა, რომლის ჩაბარების შემდეგაც მოსწავლე ადასტურებს თავისი ცოდნის დონეს. ძირითადად, ეს არის 3 ან 4 სტადიარტული გამოცდა, შემდეგ კი, უნივერსიტეტები, საკუთარი უფლებამოსილების და წესდების მიხედვით, განსაზღვრავენ სტუდენტების ჩარიცხვის წესებს.

ასევე, ჩემი რეკომენდაციაა, მოსწავლეებს მივცეთ გადაბარების შანსი, რადგან დღეს ძალიან დიდი რისკის მატარებ-

ლია საატესტატო გამოცდების თითოეული ეტაპი და წარმატებულმა მოსწავლემ, თუნდაც ერთ გამოცდაში წარუმატებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, ვეღარ შეძლოს სწავლის გაგრძელება შემდგომ ეტაპებზე. არის ქვეყნები, სადაც არსებობს საკომპენსაციო, დამაბალანსებელი ქულის მექანიზმი. მაგალითად, არაერთი მოსწავლის შემთხვევა ვხვდებით, რომ მსავალდებულო გამოცდიდან 7 ჩაბარა, მაგრამ ერთ გამოცდაში ვერ გადალახა მინიმალური ბარიერი. მინიმალური ბარიერის უკან დგას სისტემა, რომელიც უცნობია პედაგოგებისთვისაც კი. ეს არის საკმაოდ დახურული სისტემა. ასეთი მაღალი რისკის მატარებელი ტესტი არ უნდა იყოს ან უნდა მიეცეთ მოსწავლეებს საშუალება, ალტერნატიული გზით დაედასტურონ საკუთარი ცოდნა. თუ მოსწავლე 7 გამოცდას აბარებს და ვერ აბარებს ერთს, რომელიც შეიძლება მისთვის პროფილური საგანი არ იყოს, შესაძლებელია შედეგების გათანაბრება, ეს დაახლოებით, საშუალო ქულის გამოყენებაა.“ — განაცხადა მარიამ ჯაშმა.

## ღირაქტორი

# ღირაქტორი სკოლაში მიმდინარე პროცესების სათავეში მყოფი ფიგურაა

რუბრიკის სტუმარია მორის დანდურიშვილი, სსიპ ქალაქ ხაშურის №1 საჯარო სკოლის ღირაქტორი, რომელსაც სკოლის მართვის ოთხწლიანმა გამოცდილებამ უჩვენა, რომ საგანმანათლებლო მისიის შესასრულებლად უმნიშვნელოვანესია სკოლაში ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება.

### სკოლის წარმატების ფორმულა

სკოლის წარმატება ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული და ამიტომ გამიჭირდება მხოლოდ რამდენიმეს დასახელება, თუმცა, შევეცდები ძირითადი ფაქტორები მაინც გამოვყო, რომელთა ერთობლიობა წარმატებული სკოლის მოდელს ქმნის: მოტივაცია; დროისა და ფინანსების ეფექტური მართვა; რეალისტური სტრატეგიული განვითარების გეგმა, მისი განხორციელება და სკოლის ეფექტური მართვა; სასწავლო პროცესის ეფექტური მართვა და ლიდერობა; პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; მონესრიგებული ანგარიშვალდებულების სისტემა; გაზიარებული პასუხისმგებლობა; თანასწორობა; აღიარება; მოსწავლეთა ავტონომიურობის გაზრდა; მშობლებთან და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია. დამერწმუნეთ, თუკი სასკოლო გარემოში ეს ყველაფერი გათვალისწინებულია, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ის წარმატებულ სკოლაა რიცხვში.

### პროფესიული განვითარების სქემა

კონკურენტულ გარემოში სკოლის წარმატებულ ფუნქციონირებას განაპირობებს ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და საზოგადოებას სთავაზობს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რომელთა გამოყენების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში სქემის ამოქმედების შემდეგ, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი იქცა ერთგვარ სამუშაო ჯგუფად, რომელიც ორიენტირებულია სკოლაში სწავლა/სწავლების ხარისხის განვითარებაზე.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფმა ხაშურის №1 საჯარო სკოლაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად განხორციელა ისეთი აქტივობები, რომელიც მისი პირდაპირი მოვალეობა არ იყო, თუმცა, სწავლა/სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად მასწავლებელთათვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განვითარება დაინიშნა. სკოლაში შეიმუშავა კონკურსებისა და ტესტირების ჩატარების წესი, დებულება და დასამტკიცებლად წარუდგინა სკოლის დირექტორს.

სკოლაში მასწავლებლის ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში, შეფასების ჯგუფი მონაწილეობს კანდიდატის შერჩევაში (გასაუბრება და სხვ.) და რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს; ამის გარდა, სკოლაში ატარებს გამოკითხვებს სწავლა/სწავლების პროცესის შესახებ და შედეგების ანალიზის საფუძველზე, მასწავლებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ამზადებს და ატარებს ტრენინგებს, კონფერენციებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ამის შედეგად, სკოლაში გაიზარდა კვალიფიციური მასწავლებლების პროცენტული მაჩვენებელი, პედაგოგებმა საკუთარი საქმიანობის ანალიზი დაიწყეს. სკოლა გახდა საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევის ადგილი. იმის გარდა, რომ გაიზარდა მასწავლებელთა მოტივაცია, გაჩნდა განცდა, რომ სკოლის ბაზაზე არსებული ადამიანური რესურსი შეიძლება სკოლის ძლიერ მხარედ იქცეს; მასწავლებლები მეტად თავდაჯერებულნი გახდნენ და, რაც მთავარია, შედეგები აისახა მოსწავლეებზე — გაიზარდა მათი აკადემიური მაჩვენებელი და შემცირდა ვაცდენების რაოდენობა. უფრო მეტიც, გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა.

### აზრადებს თუ არა სკოლა მოსწავლეს მომავალი ცხოვრებისთვის

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია, მოსწავლე მოამზადოს მო-

მავალი ცხოვრებისთვის, თუმცა ამ მოთხოვნის სასწავლო პროცესში დანერგვისას ვაწყდებით პრობლემებს. კერძოდ, მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხს. ხშირად დაბალი კვალიფიკაციის გამო სწავლა/სწავლების მთავარი იდება გვაყინდება და ორიენტირებული ვხდებით ცოდნის დაგროვებაზე და არა ცოდნის ტრანსფერზე. მიმაჩნია, რომ თანამედროვე სკოლაში არსებობს შესაძლებლობა მოსწავლეში განვითარო შესაბამისი უნარ-ჩვევები და მოამზადო იგი მომავალი ცხოვრებისთვის.

### რა ამოცანებს უყენებს 21-ე საუკუნე სკოლის ღირაქტორს

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში იყო საჯარო სკოლის დირექტორი საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა და ამასთანავე საუკეთესო შესაძლებლობა, გახდეს საგანმანათლებლო ლიდერი. საგანმანათლებლო ლიდერი აღარ არის მხოლოდ მენეჯერი, იგი სკოლაში მიმდინარე პროცესების სათავეში მყოფი ფიგურაა. შესაბამისად, საგანმანათლებლო ლიდერზე პირდაპირ არის დამოკიდებული სკოლის წარმატება. საგანმანათლებლო ლიდერმა უნდა შეძლოს: დაეხმაროს მასწავლებლებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაში; შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას; 21-ე საუკუნის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომებით შექმნას სწავლის თანაბარი შესაძლებლობა ყველა მოსწავლისთვის; ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების ეფექტურ ჩართულობას სწავლა/სწავლების პროცესში.

ასევე, მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო ლიდერს შეეძლოს სკოლაში არსებული ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა. მასწავლებელს აგრძნობინო, რომ სხვების წარმატებაში წვლილის შეტანა შეუძლია, ზრდის მის მოტივაციას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მუშაობის ხარისხზე. თანამშრომლობა, ურთიერთსწავლება და გუნდური მუშაობა მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ჩვენი სკოლის წარმატების გზაზე. შედეგად, ბოლო სამი სასწავლო წლის განმავლობაში, ხაშურის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 40%-ით გაიზარდა.

### განათლების სისტემის №1 გამოწვევა/პრობლემა

პრობლემა მოსწავლის აღზრდაში სასკოლო საზოგადოების არათანაბარი ჩართულობა. მასწავლებელი-მოსწავლემოვით თანაბარი დონით უნდა მონაწილეობდნენ მოსწავლის სწავლა/სწავლების დინამიურ პროცესში. ორიენტირების და სამომავლო გეგმების დასახვა ერთობლივი ფიქრის, მუშაობის შედეგად უნდა ხდებოდეს, რაც მისი შესრულების ერთ-ერთი გარანტი გახდება.

### ძალადობა სკოლაში —

#### პრევენცია და რეაგირების გზები

სკოლაში მოსწავლეების მიმართ განხორციელებული საგარეულო ძალადობის პრევენციისა და საგარეულო ძალადობისგან დაცვის ხელშეწყობას ყოველდღიური მუშაობა სჭირდება. მით უფრო, რომ სკოლაში არსებული დისციპლინური სახდლები და ძალადობაზე რეაგირების მექანიზმი არ არის ორიენტირებული ბავშვის, როგორც ძალადობის მსხვერპლის, ასევე მოძალადის (როგორც არასრულწლოვნის, ასევე სრულწლოვნის) საუკეთესო ინტერესებსა და რეაბილიტაციაზე. სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ზრუნვაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის შექმნას.

სამუშაო ჯგუფის (რომლის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, მოადგილე, დამრიგებლები, მანდატურები, მშობლები) მიერ ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად ჩვენს სკოლაში განხორციელდა



გამოვლენილი ძალადობის ფაქტების ანალიზი და მათი დაჯგუფება თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით; სისტემატური ხასიათი მიიღო ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე ბავშვების დაცვის და რეაბილიტაციის ღონისძიებებმა — ინდივიდუალური საუბრები, მათი ჩართვა კლასგარეშე და სკოლისგარეშე აქტივობებში; მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი ძალადობის ნიშნების ამოცნობის ხერხების შესასწავლად; სკოლაში შემუშავდა ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია; მოსწავლეების აქტიური ჩართულობით შეიცვალა სკოლის შინაგან-ნაგესი. სისტემატურად ვატარებთ ე.წ. „შინაგანაგესის დღეს“, მოსწავლეები დისკუსიის რეჟიმში განიხილავენ შინაგანაგესთან (კონკრეტულად იმ მუხლებს, რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლეთა ქცევასთან) დაკავშირებულ საკითხებს. წარმატებით განვხორციელეთ „თავისუფალი გაკვეთილების“ პროექტი, რომლის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება, სწორედ ძალადობის თემას (ბულინგი, კიბერბულინგი) მიექცა.

ყოველი თვის პირველი პარასკევი სკოლაში გამოცხადდა, როგორც „მოსწავლის დღე“, მეორე პარასკევი — „მშობლის დღე“, მესამე პარასკევი — „მასწავლებლის დღე“. ამ პერიოდში, მათ ვხვდებით და ვსაუბრობთ პრობლემებზე. რაც მთავარია, ამ ღონისძიებებმა რეალური შედეგი გამოიღო — სკოლაში გაიზარდა ძალადობის აღქმა; მინიმუმამდე შემცირდა სკოლის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტები; ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია მძლავრ ინსტრუმენტად იქცა ზრუნვაზე დაფუძნებული უსაფრთხო სასკოლო კლიმატის ჩამოსაყალიბებლად; მოსწავლეებთან ურთიერთობისას სკოლა შინაგანაგესის იმ მუხლებით ხელმძღვანელობს, რომლებიც მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით შევიმუშავეთ.

რადგან სკოლაში 2018 წელი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის წლად გამოცხადდა, ჩვენ გაგანალიზეთ ამ მოკლე ხანში განხორციელებული ღონისძიებების შედეგები, რამაც შესაძლებელი გახადა მთელი რიგი პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება. შეიცვალა მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა დამოკიდებულება ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების მიმართ; სასკოლო გარემო გახდა მეტად მზრუნველი როგორც მსხვერპლის, ასევე მოძალადის მიმართ და გაჩნდა მათი რეაბილიტაციის პრევენციები.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სკოლის მიმართ ნდობის მაჩვენებელმა საგრძნობლად აიწია, რომლის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი, დროის მოკლე პერიოდში, განხორციელებული აქტივობების ეფექტურობა აღმოჩნდა. საერთო ჯამში კი, ხაშურის №1 საჯარო სკოლა საზოგადოებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი და უსაფრთხო გახდა.

### რეკომენდაციები კოლეგებს

ვისურვებდი სკოლის დირექტორი იყოს: საგანმანათლებლო ლიდერი და არა უბრალოდ მენეჯერი, შემოქმედი და არა უბრალოდ „შემსრულებელი“, მოტივირებული და არა ნიპილისტი, ინოვაციური და არა ტრადიციული, ღია და არა ჩაკეტილი, საგანმანათლებლო ლიდერი და არა, უბრალოდ, დირექტორი/მმართველი.



სამოღვაწე გაკვეთილი

# მექანიკური რხევა

**გაკვეთილის თემა:** მექანიკური რხევა

**კლასი:** მე-11

**გაკვეთილის მიზნები:** დაეხმოს დაკვირვებული ბურთულის რხევის პერიოდის ამპლიტუდაზე, ბურთულის მასაზე, ძაფის სიგრძეზე დამოკიდებულების დადგენა

**გაკვეთილის ხანგრძლივობა:** 45წთ

**რეისურსები და მასალაები თითოეულ ჯგუფზე:** მე-11 კლასის სახელმძღვანელო; ფილიპ-ჩარტის ფურცლები; მარკერები; შტატივი (1 ცალი), ძაფი (1 ცალი ხვია), სახაზავი, 100 და 200 გრამიანი საწონები (1-1 ცალი), წამწამი (1 ცალი)

**კლასის ორგანიზების ფორმა:** 4-5 კაციანი ჯგუფები

**სტანდარტი**

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები:

**ფიზ. XI.5.** მოსწავლეს შეუძლია მექანიკური რხევისა და ტალღების დახასიათება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გეგმავს და ატარებს ცდებს სხეულთა მექანიკური რხევის შესასწავლად, ატარებს შესაბამის გაზომვებს და აღწერს კავშირს რხევის მახასიათებელ სიდიდეებს შორის;
- ანალიზებს რაოდენობრივ კავშირს რხევის მახასიათებელ ფიზიკურ სიდიდეებს შორის;
- ადეკვატურად იყენებს შესაბამის ცნებებს, კანონებს და ფორმულებს ამოცანების ამოსახსნელად.

**საფუძვალის მსვლელობა:**

**აქტივობა 1** (45წთ.) წინარე ცოდნის გააქტიურება (მთელ კლასთან)

- რომელი ძალის მოქმედებით ხდება რხევა?
- დააკვირდით, მიღევადა თუ მიუღევადა?
- თავისუფალი რხევა ახსენით, რატომ?

დაფიანი ქანქარა, რომელიც უნივერსალური შტატივისგან აწყობილ ო-ს ფორმის სადგარზეა დაკიდებული, გადახარეთ ნონასწორობის მდგომარეობიდან და ხელი გაუშვით. დააკვირდით თავისუფალ რხევებს. აღწერეთ, როგორ მოძრაობს სხეული მას შემდეგ, რაც მას ხელი გაუშვით.

**აქტივობა 2** (35წთ.) გამოთქვამენ ვარაუდებს და დაეგეგმევენ ექსპერიმენტს. (მთელ კლასთან).

**აქტივობა 3** (35წთ.) ექსპერიმენტის ჩატარება – რხევის პერიოდის განსაზღვრა (ჯგუფური სამუშაო)

- გამოიბან შტატივის თათს 1მ სიგრძის ძაფი და დაკიდე მასზე საწონი;
- ასწავლეთ შტატივის თათი ისეთ სიმაღლეზე, რომ სხეულმა თავისუფლად შეძლოს რხევა ისე, რომ რხევისას მაგიდის ზედაპირს არ ეხებოდეს;
- გადახარე სხეული ნონასწორობის მდგომარეობიდან და გაუშვი ხელი (გაითვალისწინე: სხეულის გადახრა ნონასწორობის მდგომარეობიდან, ძაფის სიგრძესთან შედარებით, გაცილებით პატარა უნდა იყოს, ძაფის სიგრძის 1/10-ს არ უნდა აღემატებოდეს);
- აითვალე წამწამზე დრო, რომელიც სხეულს 5-7 რხევის შესასრულებლად სჭირდება და გამოთვალე ამ მონაცემებით რხევის პერიოდი.

**აქტივობა 4** (75წთ.) ექსპერიმენტის ჩატარება – განსხვავებული ამპლიტუდებისთვის რხევის პერიოდის განსაზღვრა (ჯგუფური სამუშაო)

- გაიმეორე ცდა კიდევ სამჯერ განსხვავებული ამპლიტუდებისთვის და გამოთვალე რხევის პერიოდი თითოეულ შემთხვევაში (შეიტანე მონაცემები ცხრილში). ცდებში ძაფის სიგრძე უცვლელი უნდა დარჩეს.
- გაიმეორე ცდა მეორე საწონისთვის სამჯერ და შედეგები შეიტანე 1-ლ ცხრილში:

ცდებში ძაფის სიგრძე უცვლელია	ამპლიტუდა A, სმ	რხევის რაოდენობა, N	დრო, რომელიც N რხევას დასჭირდა, t	რხევის პერიოდი, T = t/N	გააკეთე დასკვნა, არის თუ არა ქანქარას რხევის პერიოდი დამოკიდებული ამპლიტუდაზე?	
					საწონის მასაზე?	
I საწონი 100გ						
II საწონი 200 გ						

**ცხრილი 1**

**აქტივობა 5** (75წთ.) ექსპერიმენტის ჩატარება – განსხვავებული სიგრძისათვის (ჯგუფური სამუშაო)

- შეცვალე ძაფის სიგრძე;
- თითოეულ შემთხვევაში გამოთვალე ქანქარას რხევის პერიოდი: წამწამით გაზომე დრო, რომელიც საჭიროა 6-7 რხევის შესასრულებლად და გამოთვალე ქანქარას რხევის პერიოდი ისევე, როგორც ცდა 2-ში.
- შეიტანე ცდის შედეგები მე-2 ცხრილში:

ძაფის სიგრძე	რხევის რაოდენობა, N	დრო, რომელიც N რხევას დასჭირდა, t	რხევის პერიოდი, T = t/N	გააკეთე დასკვნა, არის თუ არა ქანქარას რხევის პერიოდი დამოკიდებული ძაფის სიგრძეზე?
50სმ				
80სმ				
100სმ				

**ცხრილი 2**

**აქტივობა 6.** (5წთ.) ექსპერიმენტისთვის განკუთვნილი დროის გასვლის შემდეგ ჯგუფები კლასის წინაშე ატარებენ პრეზენტაციას, წარმოადგენენ ცდის შედეგებს – გრაფიკს, რომელზეც ჩანს რხევის პერიოდის დამოკიდებულება ძაფის სიგრძეზე, ტვირთის მასაზე, ამპლიტუდაზე.

**აქტივობა 7.** (3წთ.) ჯგუფების უკუკავშირი: მოსწავლეები უსვამენ კითხვებს პრეზენტატორებს და პრეზენტატორები იცავენ თავიანთ ნაშრომს.

**აქტივობა 8.** (2 წთ.) შემაჯამებელი დისკუსია (მთელ კლასთან).

**აქტივობა 9.** (3 წთ.) მასწავლებლის აღწერითი უკუკავშირი: მასწავლებელი აჯამებს ჯგუფების მიერ წარმოდგენილ შედეგებს და საბოლოო დასკვნის სახით ჩამოაყალიბებს: დაფიანი ქანქარის რხევის პერიოდი გამოითვლება ფორმულით:

$$T = 2\pi \sqrt{\frac{l}{g}}$$

სადაც l ძაფის სიგრძეა, ხოლო g – თავისუფალი ვარდნის აჩქარება.

**აქტივობა 10.** (3წთ.) მასწავლებელი აძლევს საშინაო დავალებას მოსწავლეს:

1. გამოთვალეთ თავისუფალი ვარდნის აჩქარების მნიშვნელობა ექსპერიმენტის მსვლელობისას მიღებული მონაცემებით, შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$T = 2\pi \sqrt{\frac{l}{g}} \quad \text{ან} \quad g = \frac{4\pi^2 l}{T^2}$$

ცდის №	1	2	3
ფიზიკური სიდიდე			
ქანქარას სიგრძე l, მ			
სრული რხევების რაოდენობა, N			
რხევის დრო t, წმ			
რხევის პერიოდი T, წმ			
თავისუფალი ვარდნის აჩქარება, g, მ/წმ <sup>2</sup>			

2. იმისათვის, რომ სავარაუდო ადგილებში სასარგებლო წიაღისეულის არსებობა დაადგინონ, გეოლოგები იმ ადგილებში თავისუფალი ვარდნის აჩქარებას – g-ს, ზომავენ (ე.წ. გეოლოგიური დაზვერვა). რადგან ცნობილია, რომ თავისუფალი ვარდნის აჩქარების – g-ს სიდიდე დამოკიდებულია გეოგრაფიულ განედზე (პოლუსზე მისი მნიშვნელობა ≈ 9, 83216 მ/წმ<sup>2</sup>-ია, ხოლო ეკვატორზე ≈ 9, 78030 მ/წმ<sup>2</sup>), აღმოჩნდა, რომ ერთ პარალელზეც კი g-ს სიდიდე დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა წერტილში შესაძლოა სხვადასხვა იყოს. ამ ანომალიების არსებობა დაკავშირებულია დედამიწის ქერქის არათანაბარ სიმკვრივესთან, რომელიც, თავის მხრივ, გამოწვეულია ამ ადგილებში სხვადასხვა სიმკვრივის წიაღისეულის არსებობით. მოიფიქრეთ და ურჩიეთ გეოლოგებს, როგორ შეიძლება მარტივი ხერხით განსაზღვრონ g, თუ მათ საამისოდ სათანადო ხელსაწყო არ გააჩნიათ.

**შეფასების სქემა ექსპერიმენტის ჩატარებისთვის** (დანართი 1)

№	შეფასების კრიტერიუმები	1-3	4-5	6-7	8-10
1	განსაზღვრავს კვლევის მიზანს	არასწორად განსაზღვრავს	ნაწილობრივ სწორად განსაზღვრავს	სწორად განსაზღვრავს	ზედმინეწვით ზუსტად განსაზღვრავს
2	კვლევის მიმდინარეობის აღწერა	ვერ აღწერს მუშაობის თანმიმდევრობას	ნაწილობრივ ზუსტად აღწერს მიმდინარეობას	სწორად აღწერს კვლევის მიმდინარეობას	ზედმინეწვით ზუსტად აღწერს კვლევის მიმდინარეობას
3	მონაცემების შეგროვება და აღრიცხვა	ვერ აღრიცხავს სწორად მონაცემებს	აგროვებს და აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უზუსტოდ	აგროვებს და აღრიცხავს მონაცემებს სრულად, მაგრამ უზუსტოდ	აგროვებს და აღრიცხავს მონაცემებს სრულად, შეუძლია ცხრილის შედგენა
4	დასკვნის გამოტანა	არ შეუძლია დასკვნის გამოტანა	ნაწილობრივ სწორად გამოაქვს დასკვნები	გამოაქვს დასკვნები სწორად, მაგრამ მცირე ხარვეზებით	სრულყოფილად აყალიბებს დასკვნებს

საზნაობა აბღულავენი  
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ლაშხალის საჯარო სკოლის  
ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

# MEXANIKI RƏQSLƏR

**Dərsin mövzusu:** Mexaniki rəqslər.

**Sınıf:** 11-ci sınıf

**Dərsin müddəti:** 45 dəq.

**Dərsin məqsədi:** Sapdan asılmış kürəciyin rəqs periodunun amplitudundan, kürəciyin kütləsindən, sapın uzunluğundan asılılığının təyini.

**Resurslar və materiallar:** Hər bir qrupa: 11-ci sınıfın dərsliyi, flipçart vərəqlər; markerlər; Ştativ (1 dənə) Sap (1top), Xətkeş, 100 və 200 q-lıq çəki daşları (1-1 dənə), Saniyə ölçən (1 dənə)

Sınıfın təşkil etmə forması: 4–5 şagirdlik qruplar.

**Standart**

İlin sonunda əldə ediləcək nailiyyətlər və onların indikatoru:

**Fiz. XI. 5.** Şagird mexaniki rəqsi və dalğaları xarakterizə edə bilər.

Nəticə göz önündədir, əgər şagird:

- Cisimlərin mexaniki rəqslərini öyrənmək məqsədilə təcrübələr planlaşdırır və keçirirsə, müvafiq ölçmələr aparır və rəqslərin xarakterizə edən kəmiyyətlər arasında əlaqəni müəyyən edərsə;
- Rəqsi xarakterizə edən fiziki kəmiyyətlər arasında asılılığı təhlil edərsə;
- Müvafiq anlayışlardan, qanunlardan və düsturlardan standart və qeyri-standard məsələlərin həllində adekvat istifadə edərsə;

**İşin gedişi:**

**Fəallıq 1** ( 4 dəq.) Əvvəlki biliyin fəallaşdırılması (bütün siniflə)

- Hansı qüvvənin təsiri altında rəqs hərəkət baş verir?
- Müşahidə edin , rəqs sənəndir, yoxsa sönməyəndir?
- Sərbəst rəqsləri izah edin, niyə?

Ştativin Γ formalı dayağına riyazi rəqqas (sapdan asılmış) bərkidilmişdir, tarazlıqdan çıxararaq, əlimizi buraxın. Sərbəst rəqsləri müşahidə edin. Əlinizi buraxdıqdan sonra rəqqas necə hərəkət edəcəkdir.

**Fəallıq 2** (3 dəq.) Mülhizə yürüdürlər və təcrübəni planlaşdırırlar (bütün siniflə).

**Fəallıq 3** (8 dəq.) Eksperimentin keçirilməsi-rəqs periodunun təyini (qrup işi)

- Ştativin qoluna 1 m uzunluqlu sap bağlayın və ondan yük asın;
- Ştativin qolunu elə hündürlüyə qaldırın ki, cismin sərbəst rəqsləri masanın səthinə toxunmasın;
- Tarazlıq vəziyyətindən cismi çıxarın və əlinizi buraxın. (Nəzərə alın: cismin tarazlıq vəziyyətindən uzaqlığı sapın uzunluğundan kiçik olmalıdır, sapın uzunluğunun 1/10-dən böyük olmamalıdır);



სამოღვაწეო გაკვეთილი

• Saniyöölçänin kömâyilê rəqqas 5-7 rəqsî yerinê yetirdikdə lazımlı vaxtı qeyd edin və bu verilənlərdə görü rəqsin periodunu hesablayın;

**Fəallıq 4** (7 dəq.) Eksperimentin keçirilməsi- fərqli amplitud üçün rəqs periodunun təyini (qrup işi)

• Fərqli amplitudda təcrübəni yenə iki dəfə təkrarlayın və hər bir halda rəqs periodunu hesablayın (verilənləri cədvələ köçürün). Təcrübələrdə sapın uzunluğunu dəyişməz saxlayın.

• İkinci yük üçün təcrübəni üç dəfə təkrarlayın və nəticəni 1-ci cədvələ köçürün:

Cədvəl 1

Table with 6 columns: Təcrübədə sapın uzunluğu dəyişmir, Amplitud A, sm, Rəqslərin sayı, N, N sayda rəqslərə lazımlı vaxt, t, Rəqs periodu, T = t/N, Nəticə çıxarın, rəqqasın rəqs periodu asılıdır mı, Amplitud?, Yükün kütləsindən?

**Fəallıq 5** (7 dəq.) Eksperimentin keçirilməsi- fərqli uzunluqlu rəqqaslar üçün (qrup işi)

- Sapın uzunluğunu dəyişin;
- Hər bir halda rəqqasın periodunu dəyişin: Saniyöölçənli 6 -7 rəqs üçün zamanı ölçün və rəqqasın rəqs periodunu hesablayın, 2-ci təcrübədə olduğu kimi.
- Təcrübənin nəticəsini 2-ci cədvələ köçürün:

Cədvəl 2

Table with 5 columns: Sapın uzunluğu, Rəqslərin sayı, N, N sayda rəqslərə lazımlı vaxt, t, Rəqs periodu, T = t/N, Nəticə çıxarın, sapın uzunluğunu rəqqasın rəqs periodundan asılıdır mı, ya yox?

**Fəallıq 6.** (5 dəq.) Təcrübə üçün müəyyən edilmiş vaxt başa çatdıqdan sonar qruplar bütün sinif qarşısında prezentasiya təqdim edirlər. Onlar təcrübənin nəticəsini, qrafiki təqdim edirlər, hansı ki, rəqs periodunun rəqs amplitudundan, yükün kütləsindən və sapın uzunluğundan asılılığı görünür.

**Fəallıq 7.** (3 dəq.) Qruplarla əks-əlaqə: Şagirdlər prezentatora suallar verirlər və prezentatorlar öz işlərini müdafiə edirlər.

**Fəallıq 8.** (2 dəq.) Yekunlaşdırıcı diskussiya (bütün siniflə).

**Fəallıq 9.** (3 dəq.) Müəllimin əks-əlaqəsi: Müəllim qruplar tərəfindən təqdim olunmuş nəticələri və yekunu qərar şəklində formalaşdırır:

Riyazi (saplı) rəqqasın rəqs periodunun düsturudur:

Haradaki, sapın uzunluğudur, g isə sərbəstdüşmə təcildir.

**Fəallıq 10.** (3 dəq.) Müəllim şagirdlərə ev tapşırığı verir:

1. Eksperimentdən alınan nəticələrə əsasən sərbəstdüşmə təcilinin qiymətini aşağıda verilən formula görə hesablayın:

T = 2π √(l/g) və ya, g = 4π²l / T²

Table with 4 columns: Təcrübə №-si, Fiziki kəmiyyət, 1, 2, 3

2. Faydalı mineralların təxmini yerini müəyyən etmək üçün, geoloqlar həmin yerlərdə sərbəstdüşmə təcilini, g-ni ölçürlər (geoloji kəşfiyyat). Məlumdur ki, sərbəstdüşmə təcili g coğrafi en dairədən asılıdır ( qütbə onun qiyməti ≈ 9, 83216 m/s²-dir, ekvatorada isə ≈ 9, 78030 m/s²-dir), ancaq məlum oldu ki, bir paraleldə g-nin qiyməti yer səthinin müxtəlif nöqtələrində müxtəlif ola bilər. Bu anomaliyanın olması yerin üz qabığının sıxlığının müxtəlif olması ilə əlaqədardır, bu da öz növbəsində həmin yerdə müxtəlif sıxlıqlı mineralların mövcud olmasından irəli gəlir. Fikirləşin və geoloqlara sadə üsulla g-ni necə müəyyən etməyi göstərin, əgər, onların bunu etməyə müvafiq alətləri yoxdursa.

Eksperimentin keçirilməsi üçün qiymətləndirmə sxemi (əlavə 1)

Table with 5 columns: №, Qiymətləndirmə meyarları, 1-3, 4-5, 6-7, 8-10

QAZAX ABDULLAYEV, Saqareco municipalitetinin Ləmbəli kənd ictimai məktəbin fizika-riyaziyyat müəllimi.

ინფორმაცია

იუნესკო ქართული ჭიდაობის მსოფლიოს პრემიერ-ლიგის კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის საკითხს განიხილავს

26 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით, მავრიკიის ქალაქ პორტლუისში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-13 სესია გაიმართება. სესიაზე იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ქართული ჭიდაობის შეტანის საკითხი განიხილება. აღნიშნული საკითხის განხილვა 28 ნოემბერსაა ჩანიშნული.



**Задание 7. Перед Вами рекламное объявление из интернет-газеты. Прочитайте его и составьте текст электронного письма в редакцию газеты с просьбой уточнить детали, которые отмечены ниже. Начало дано на листе ответов. Не указывайте ни своих, ни чужих имён и фамилий.**

**Время?**

В этом году Грузия и Германия отмечают двухсотлетие основания в Грузии немецкого поселения. В связи с этим 12 апреля в Национальной галерее открывается выставка «Немцы в Грузии», посвящённая этому юбилею. Посетители выставки смогут увидеть живописные и графические картины немецких художников, живших и работавших в Грузии в XIX-XX веках. Выставка продлится до конца апреля.

**Число?**

**Кто?**

**Задание 8. Прочитайте название темы эссе. Напишите 120-150 слов.**

**Многие считают, что высшее образование хорошего качества можно получить только за границей. Что думаете по этому поводу Вы? Аргументируйте своё мнение.**

**ტანტის მასსივალური ქულაა 80. ტანტზე სამუშაოდ გეძებთ 2 საათი და 30 წუთი**

**პრობლემატიკური კითხვები — 2019**

**Задание 1:** 1. В 2. А 3. В 4. Б 5. Б 6. Б 7. А 8. В 9. А 10. Б

**Задание 2:** 1. Нет 2. Нет 3. Нет 4. Да 5. Нет 6. Да 7. Да 8. Да 9. Нет 10. Нет

**Задание 3:** 1. Г 2. В 3. Д 4. А 5. Е 6. Г 7. В 8. Б

**Задание 4:** 1. Г 2. А 3. Г 4. Б 5. В 6. Б 7. Г 8. Г

**Задание 5:** 1. 3 2. К 3. Л 4. В 5. О 6. А 7. М 8. И 9. Г 10. Е 11. Д 12. Н

**Задание 6:** 1. с 2. за 3. на 4. который / что 5. из 6. от 7. во 8. где 9. чтобы 10. Не/А

**სპორტი**

**უბედლოდ დაასრულეს**

ესპანეთის ქალაქ სანტიაგოში დასრულდა ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი 8, 10 და 12-წლამდელთა შორის. სამწუხაროდ, ჩვენ 7 წარგზავნილიდან, მედლის მოპოვება ვერავინ შეძლო.

ბოლო ტურის წინ ჩვენებიდან მედლის მოპოვების მეტად მყიფე შანსებს მხოლოდ ორნი ინარჩუნებდნენ — **ანასტასია კირთაძე** (10-წლიანებში) და **ბარბარა ცირეკიძე** (12-წლიანებში). ბოლო ტურში ორივეს აუცილებლად მოგება სჭირდებოდა, ფრეც კი არ აწყობდათ, თუმცა, გამარჯვების შემთხვევაშიც კი, უშუალო კონკურენტთა შედეგებზე იყვნენ დამოკიდებული.

სამწუხაროდ, ბოლო ტურში მეტ-ნაკლებად წარმატებით თამაში მხოლოდ ცირეკიძემ შეძლო, ფრედ დაასრულა პარტია ავსტრიულ **კატა ვიცხესთან**, 7 ქულა დააგროვა და, საბოლოოდ, მე-19 ადგილზე გავიდა. კირთაძე დამარცხდა თურქ **ელიფ ზარენ ილდინთან** და კვლავ 7 ქულა დარჩა, რაც 22-ე შედეგია.

ასევე უმედლოდ დარჩა **კესარია მგელაძე** 8-წლიან გოგონებში, რომელიც 6 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი პარტია ნააგო, ხუთი შანსიდან მხოლოდ 1.5 ქულა მოიპოვა, საბოლოოდ, 7.5 ქულა დააგროვა და მე-8 ადგილზეა. ჩვენებიდან ყველაზე უკეთესი მაჩ-

ვენებელი მას აქვს. შეგახსენებთ, რომ ესპანეთში ჩვენგან ასევე გამოდიოდნენ: **მარიამ გვათუა**, **ანა მამარდაშვილი**, **ბექა წვერავა**, **დავით ნემსაძე** და **დავით ლომთაძე**.

**რა მოხდა ოსაკაში**

უკვე დამალულიც არაა, რომ ოსაკას „დიდ მუზარადზე“ ჩვენი ძიუდოისტების ნაწილის გამოუსვლელობის მიზეზი საქართველოს ნაკრების წევრებს შორის მომხდარი ჩხუბია. ამ ამბავმა იაპონიიდან მალევე მოაღწია საქართველომდე, თუმცა, ჯერ დეტალები სრულად არ ვიცით, ვინაიდან ამის თაობაზე ძიუდოს ფედერაციას არც განმარტება გაუუკეთებია და არც ზარებზე გვიპასუხეს. დაკავშირება ვცადეთ **ანზორ თენაძესთანაც**, რომელიც თაობირზე იყო და გვთხოვა, მოგვიანებით გვესაუბრა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების წევრებს შორის უთანხმოება მას შემდეგ ჩამოვარდა, რაც ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე აგორებულ ძიუდოისტთა საპროტესტო ტალღას არ შეუერთდა „გორელთა სამეული“ — ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ვაჟა მარგველაშვილი** (66), ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (73) და ევროპის მედალოსანი **ბექა ღვინიაშვილი** (90). გავრცელებული ხმებით, იაპონური ჩხუბიც ამ დაჯგუფებებს შორის მოხდა, თუმცა ნაოპერაციები ღვინიაშვილი იქ არ წასულა. ასევე მთარული ხმებით, ჩხუბში იქ მყოფი ნაკრების ყველა წევრი მონაწილეობდა, მსოფლიოს ჩემპიონ

**გურამ თუშიშვილის** (+100) გარდა — გამშველბელი მხოლოდ ის და თენაძე იყვნენ... ჭორის დონეზე კიდევ ბევრ რამეს ამბობენ, მაგალითად, ერთი ჯგუფი სასტუმროს ნომერში შეუვარდა მეორესო, თუმცა, ეს ჩვენც მხოლოდ ზოგადად ვიცით და ჯერ დეტალების დაზუსტებისგან თავს შევიკავებთ, მათ გარკვევას კი ფედერაციაში ვეცდებით.

ამბობენ იმასაც, რომ ფედერაციაც ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნების ჩამთავრებას ელოდება, მაგრამ ვერაფრით გავამართლებთ მათ დუმის. „ბრმას ცოლი მოუკვდას“ ანდაზიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ ფედერაციას, გააკეთოს ოფიციალური განცხადება და საზოგადოებას გააცნოს მომხდარის დეტალები — უკვე ისედაც ყველამ იცის მომხდარის შესახებ და თანაც, ასეთი დუმით ხომ კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ჭორების აგორებას. ამასთან, ფედერაცია ვალდებულია, გადასახადების გადამხდელ საზოგადოებას ისიც გააცნოს, ძიუდოს ნაკრების ეგიდით, საკუთარი ჯიბიდან, ვის უხდის გადასახადს — სპორტსმენებს თუ ჩხუბისთავეებს. ამ ჩხუბის შესახებ თვით ძიუდოს ოჯახშიც უკვე იმდენად აქტიურად საუბრობენ, სამწუხაროდ, ჭორის ალბათობა გამორიცხული გვგონია, ხოლო მომხდარი საერთაშორისო არენაზე ქართული ძიუდოს ისეთივე მორიგი სირცხვილია, როგორც, თავის დროზე, ზემოაღნიშნულ კონფლიქტში, ვიდემომხართვების ფორმით, უცხოელ ძიუდოისტთა ჩართვა იყო იაპონიიდან დანყებული, ბრაზილით დასრულებული.



მანდატურის სამსახური

ტრენინგი – ქალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია



სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ახორციელებს პროგრამას „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია“...

სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლები და ფსიქოლოგები. პროგრამა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა:

- კომუნიკაციის ფსიქოლოგია;
• სასკოლო ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისთვის დამახასიათებელი ქცევითი და ემოციური პრობლემები და მათზე რეაგირების ეფექტური სტრატეგიები;
• ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების საბაზისო ნიშნები;
• დევიაციურ/დესტრუქციული ქცევის ამოცნობა, ჩამოყალიბების საფრთხე და პრევენცია;
• ძალადობრივი ქცევის ამოცნობა, რეაგირება და პრევენცია.

ფსიქოსოციალური მომსახურების კომპონენტი გაძლიერდება



მანდატურის სამსახურის უფროსი გელა გელაძე იმერეთში, გურიასა და აჭარაში ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებსა და ფსიქიატრებს შეხვდა.

შეხვედრებზე მანდატურის სამსახურში ფსიქოლოგიური მომსახურების კომპონენტის გაძლიერების შესახებ იმსჯელეს და საქართველოს რეგიონებში ამ მომსახურებით სარგებლობის ხელმისაწვდომობისა და გაფართოების საკითხები განიხილეს. როგორც გელა გელაძემ აღნიშნა, მანდატურის სამსახურის რეფორმირების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალი ფსიქოსოციალური პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, ასევე, ფართომასშტაბიან საინფორმაციო-საგანმანათლებლო და პრევენციულ კამპანიებს სკოლებში დანაშაულისა და ძალადობის წინააღმდეგ.

ამ ეტაპზე, ქვეყნის მასშტაბით, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების 8 ცენტრი ფუნქციონირებს. ცენტრის მალაკვალიფიციური ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და ბავშვთა ფსიქიატრები უფასო ფსიქოსოციალურ

მომსახურებას სთავაზობენ მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს და მათ ქცევითი, ემოციური პრობლემების იდენტიფიკაციასა და მართვაში ეხმარებიან.

მანდატურის სამსახური ანტიბულიმბურ კამპანიაში ჩაერთო



მანდატურის სამსახურის უფროსი გელა გელაძე და ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის წარმომადგენლები, ანტიბულიმბური კამპანიის ფარგლებში, თბილისის 166-ე საჯარო სკოლას ეწვივნენ. სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრას კამპანიის „ძლიერები არ ძალადობენ“ კეთილი ნების ელჩები – თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მსოფლიოს ორჯ ზის ჩემპიონი გენო პეტრიაშვილი და მსოფლიო ჩემპიონი ზურაბ იაკობაშვილიც ესწრებოდნენ.

მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგებმა მოზარდებთან ბულინგისა და დისკრიმინაციის პრობლემის არსის შესახებ ისაუბრეს და კონკრეტული მაგალითები განიხილეს. საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს მოსწავლეებს ცნობილმა სპორტსმენებმაც. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე საუბარს, ასევე, ყურადღება გამახვილდა ძალადობის ნებისმიერი გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე.

პროექტი სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრთან თანამშრომლობით ხორციელდება და მასში ჩართულები არიან ცენტრის ფსიქოლოგები. შეკრებილ მოსწავლეებს ფსიქოლოგები ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე ესაუბრნენ და მათ კითხვებს კვალიფიციური პასუხები გასცეს.

„ძლიერები არ ძალადობენ“ – ამ სლოგანით PRMC-ის პროექტი ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის იდეის გარშემო რამდენიმე მიზანს აერთიანებს, მათ შორის, ახალგაზრდა თაობაში ისეთი ფასეულობების დამკვიდრებას, როგორცაა არაძალადობრივი ცხოვრება, ადამიანის უფლებები და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

სოციალური კამპანიის „ძლიერები არ ძალადობენ“ ფარგლებში, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგები ნიუტონის თავისუფალი სკოლის მოსწავლეებსაც შეხვედნენ. საინფორმაციო შეხვედრაში საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ევა სხილაძე და საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ წევრებიც მონაწილეობდნენ.



ფსიქოლოგები მოზარდებს ბულინგის არსის შესახებ ესაუბრნენ და მასთან ბრძოლის მეთოდები და საშუალებები განიხილეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დისკუსიის მონაწილეებმა მოსწავლეების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.

ანტიბულიმბურ კამპანიას „ძლიერები არ ძალადობენ“ პიარ-მედია საკონსულტაციო ჯგუფი – კომპანია PRMC, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს.

სოციალური პროექტი ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის იდეის გარშემო რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მიზანს აერთიანებს, მათ შორის, ახალგაზრდა თაობაში ისეთი ფასეულობების დამკვიდრებას, როგორცაა არაძალადობრივი ცხოვრება, ადამიანის უფლებები და ურთიერთპატივისცემა; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სამოქალაქო საზო-

გადობის, ასევე, სპორტული სამყაროს კონსოლიდირებას ბულინგის, ჩაგვრის და ძალადობის წინააღმდეგ.

მანდატურის სამსახურის უფროსი მანდატურის მსურველ კანდიდატებს შეხვდა

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელი მანდატურის მსურველ კანდიდატებს შეხვდა. კონკურსის წესით შერჩეული კანდიდატები გაივლიან მანდატურის მოსამზადებელ კურსებს, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა.

საქართველოს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, კანდიდატები მანდატურის მოსამზადებელ კურსებს, შსს-ს პოლიციის აკადემიაში, ორი თვის განმავლობაში გაივლიან და შეინსწავლიან ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორცაა: ადამიანისა და მოსწავლეთა უფლებები, მოსწავლეთა ქცევის წესები და დისციპლინა სკოლაში; კონფლიქტური სიტუაციები სკოლაში და მათი მართვა; დანაშაული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები; ოჯახში ძალადობა; ბულინგი; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება; პირველადი სამედიცინო დახმარება; ფიზიკური მომზადება და ა.შ.

კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, შერჩეული კანდიდატები გადამინიშნებიან თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებად.

სამუშაო შეხვედრები რეგიონის სკოლების მანდატურებთან



მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელი გელა გელაძე რეგიონის სკოლების მანდატურებთან სამუშაო შეხვედრებს მართავს და მათ დაგეგმილ საიხლებს აცნობს.

სკოლის მანდატურების როლი და ფუნქციები იზრდება, – ამის შესახებ ისაუბრა გელა გელაძემ რეგიონების საჯარო სკოლების მანდატურებთან შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩატარდა.

მანდატურის სამსახური გაცილებით დამოუკიდებელი, მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ხდება და იგი ახალი მიდგომებით იმუშავებს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ კომპლექსური სამოქმედო გეგმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა. ახალი მოდელი კიდევ უფრო უსაფრთხო, ჯანსაღი და პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნისკენაა მიმართული. უსაფრთხოების კუთხით, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მანდატურები მაქსიმალურად იქნებიან ჩართულები. ახალი რეგულაციების ფარგლებში, მანდატურის სამსახურის ფუნქცია, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან ერთად, სკოლებში უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი გარემოს შექმნა იქნება. მანდატურის სამსახური გააძლიერებს ფსიქოლოგიური დახმარების კომპონენტს.

სამუშაო შეხვედრები უკვე გაიმართა მცხეთა-მთიანეთის, შიდაქართლის, იმერეთის, აჭარის, გურიისა და სამეგრელოს საჯარო სკოლების მანდატურებთან. შეხვედრები გრძელდება და ქვეყნის ყველა რეგიონს მოიცავს, სადაც მანდატურის სამსახურია წარმოდგენილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგანმანათლებლო კამპანიების და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში უშუალოდ იქნებიან ჩართული თავად მანდატურები.



გამოსვლილება

# სწავლა-სწავლების პროცესს მორბეხული კოკულარული საბავშვო თამაშები

მაშ, ასე!

„- რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? - იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო!“

დიახ, ხუმრობა იქით იყოს, სათამაშოსა და თამაშს მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და განვითარების საქმეში, როგორც მომავალი ცხოვრებისეული სიტუაციებისადმი მათი ფსიქოლოგიური მომზადების საშუალებას. თამაში მხოლოდ გართობა როდია, პირიქით, განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროცესია, რაც ბავშვს აძლევს შესაძლებლობას, შეიმეცნოს გარესამყარო. უფრო მეტი, სწავლა-სწავლების პროცესს მორგებული თამაში მოსწავლეს გონებრივ განვითარებაში ეხმარება, საშუალებას აძლევს, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაუზიაროს სხვებს; ავითარებს ზეპირმეტყველების, კომუნიკაციის, შეჯამებისა და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევებს; აყალიბებს ანალიტიკურ აზროვნებას. აჩვენებს მოსწავლეებს სხვათა აზრის პატივისცემას, მოსმენასა და თანამშრომლობას; განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში; მოსწავლე ხდება აქტიური მონაწილე, სწავლებას საფუძვლად ედგება მისი პირადი გამოცდილება, პირადად მისი თვისებები და ცოდნა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს თამაში მოტივაციის ამაღლებაში. ხომ შეგიძინებიათ, როგორი ხალისიანები ხდებიან ჩვენი მოსწავლეები, როცა არაფორმალურ გარემოში სხვადასხვა თამაშით ერთობიან. სწავლა-სწავლების პროცესის გახალისება ჩემი პედაგოგიური მიზნების ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მუდმივად ვგეგმავ ისეთ აქტივობებს, რაც ამ მიზნის მიღწევაში დაგეხმარება.

ერთხელ, შესვენებაზე, ყურადღება მივაქციე, როგორ ერთობოდნენ ბავშვები „ქალაქობანას“ თამაშით, რა ხალისიანები და ბუნებრივები, მოტივირებულები და ლაღები იყვნენ. დამებადა იდეა, შემესწავლა და სასწავლო პროცესისთვის მომერგო პოპულარული საბავშვო თამაშები. დავიწყე კვლევა. ოცამდე თამაში ჩავიხსენე. მერე დავახარისხე და შევარჩიე რამდენიმე, რაც განსაკუთრებით კარგად მოერგო ჩემს მიზანს. მოსწავლეებთან ერთად, მათთან შეთანხმებით, მათი მხარდაჭერითა და აქტიური მონაწილეობით, იხვეწება და საბოლოო სახეს იღებს ესა თუ ის თამაში. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვიხალისდა სასწავლო პროცესი, როგორ ამაღლდა მოტივაცია. გამარჯვების ყინით შეპყრობილები, როგორი მონდომებით ემზადებოდნენ გაკვეთილებისთვის, როცა იცოდნენ, რომ შეჯიბრი და თამაში ელოდათ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილზე განხორციელებულ თამაშს წინ უძღვის სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო, სასწავლო მასალის საფუძვლიანი შესწავლა-გააზრება, მოსწავლეები ცდილობენ, მიიღონ მეტი ცოდნა, დააკვირდნენ დეტალებს, უკეთ ჩასწავლდნენ ტექსტის არსს და გაიაზრონ მასში მოცემული ინფორმაცია.

### თამაშის დროს განხორციელებული აქტივობები:

**კითხვების დასმა** – მოსწავლეები ადგენენ და შემდეგ სვამენ შეკითხვებს ნაკითხულის ირგვლივ, რაც ეხმარება მათ, გაიაზრონ შინაარსი, თამაშის მსვლელობის დროს კონცენტრირება მოახდინონ ტექსტზე, სიღრმისეულად გაიაზრონ კონტექსტი და დასვან სხვადასხვა ტიპის შეკითხვები. კითხვების დასმა ეფექტურს ხდის გაგების პროცესს.

**ახსნა-განმარტება** – მოსწავლეები ხსნიან და აზუსტებენ პასუხებს წინარე ცოდნასთან დაკავშირების გზით. ეს ეტაპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც შკონია, რომ აქ მიზანი მხოლოდ თამაშია ან თამაში თვითმიზანია.

**შეჯამება** – მოსწავლეებს აჩვენებს ლაკონურად და გასაგებად გადმოსცენ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

### მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

- შესწავლილი საკითხების გამოვლენა და ცოდნის განმტკიცება;
- მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტების სიღრმისეულად გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- პერსონაჟთა სახეების გაანალიზება;
- კითხვების შედგენისა და დასმის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრება;
- აზრის ცხადად, ლაკონურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობისა და სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) უნარის განვითარება;
- ანალიტიკური აზროვნებისა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარის განვითარება.

### ორგანიზების ფორმა:

თამაშის მსვლელობის დროს მოსწავლეები ზოგჯერ მასწავლებლის როლსაც ითავსებენ. ისინი მუშაობენ ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში და თავად წარმართავენ სწავლებისა და სწავლის პროცესს.

ჯგუფებად დანაწილება შესაძლებელია სხვადასხვაგვარად, მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე მარტივი წესი ასეთია:

კლასში ვარიეტ 5 ფერის თანაბარი რაოდენობის სტიკერს. შემდეგ მოსწავლეები ერთნაირი ფერის სტიკერებით ჯგუფდებიან.

### გამოყენება:

შესაძლებელია როგორც დანებისა და საბაზო, ისე საშუალო საფეხურზე. მოიცავს ბლუმის ყველა საფეხურს. მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმოს ახსნასა და გააზრებას.

ზოგ თამაშს მთელი გაკვეთილი ეთმობა, ზოგი კი შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც ერთ-ერთი აქტივობა.

### №1 „ქალაქობანა“

#### მიზანი:

- მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტების სიღრმისეულად გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტიდან ფაქტობრივი ინფორმაციის ამოკრება (ანუ მოქმედების ადგილის, დროის, პერსონაჟების შესახებ);
- საჭირო მასალის (ციტატები ნაწარმოებებიდან, სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები, ისტორიული ფაქტები და სხვ.) წინასწარ მოგროვება;
- ტექსტის პერიფრაზირება (რაც ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას და, შესაბამისად, დამახსოვრებას);
- აზრის მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება.

#### თამაშის აღწერა:

თამაში ეფექტურია როგორც მხატვრულ, ისე არამხატვრულ ტექსტებზე სამუშაოდ, მათი სიღრმისეული წვდომის, უკეთ გააზრების, შეჯამების მიზნით. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი, რომ მოუწევთ შესწავლილ მასალაზე სახალისო აქტივობების შესრულება. ეფექტურია მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შეჯამებისთვის.

კლასი იყოფა 4-5-კაციან ჯგუფებად. ერთი ან ორი მოსწავლე დამკვირვებელია, მათ ევალებათ თამაშის მსვლელობაზე თვალყურის დევნება, შედეგების შემოწმება და ანალიზი. თითოეულ ჯგუფს ურიგდება სამუშაო ფურცლები.

#### სამუშაო ფურცელი:

სახელი	გვარი	ტოპონიმი	ნაწარმოები	პერსონაჟი	ციტატა/პერიფრაზი	სიტყვის სალარო

#### შეფასების ფურცელი:

	№1	№2	№3	№4	№5	№6	№7	ბონუსი	ჯამი
I ჯგუფი									
II ჯგუფი									
III ჯგუფი									
IV ჯგუფი									
V ჯგუფი									

#### ქულების დანერის წესი:

ერთნაირი სწორი პასუხი – 5 ქულა.  
განსხვავებული სწორი პასუხი – 10 ქულა.  
მხოლოდ ერთი ჯგუფის სწორი პასუხი – 15 ქულა.  
არასწორი პასუხი – 0 ქულა.

ყველაზე დროულად შესრულებული დავალებისთვის – ბონუსი 5 ქულა.  
სამუშაო სრულდება ჯგუფურად. ყოველი ჩანაწერი უნდა უკავშირდებოდეს შესაჯამებელ მასალას. ცხრილის შევსებისთვის განსაზღვრულია დრო – 3-5 წუთი. ჯგუფები შესრულებულ დავალებას აბარებენ დამკვირვებლებს.

ყველაზე მთავარი ეტაპი არის ახსნა-განმარტება (ჯგუფის სხვადასხვა წევრი ხსნის და განმარტავს ცხრილში ჩანრილ მონაცემებს).

ქულების შეჯამების საფუძველზე გამოვლინდება გამარჯვებული. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე ჯგუფმა თანაბარი ქულებით დამთავრა თამაში, მასწავლებელს გამარჯვებულის გამოსავლენად მზად უნდა ჰქონდეს კითხვები, მაგალითად:

- როგორ გესმით ფრაზეოლოგიზმი „ენის მოკვება“?
- ა) გაჩუმება;
- ბ) ენის ტკივილი;
- გ) ბევრი ლაპარაკი.

#### №2

### „ორდროშობანა“

#### მიზანი:

კითხვების შედგენისა და დასმის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

#### რეკვიზიტი:

ორი საშუალო ზომის დროშა.

#### თამაშის აღწერა:

თამაშს წინ უძღვის მოსამზადებელი სამუშაო. მოსწავლეები ნაწარმოების შესწავლის პროცესში, პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად, მუშაობენ კითხვების შედგენაზე, რაც მათ კიდევ ერთხელ ეხმარება ნაწარმოების დეტალებზე დაკვირვებასა თუ სიღრმისეულ გააზრებაში, მთავარი და მეორეხარისხოვანი საკითხების გამიჯვნაში. შემაჯამებელ გაკვეთილზე კლასი იყოფა ორ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი ზის ერთმანეთის პირისპირ და აქვს თავისი დროშა. თითოეული ჯგუფის ინტერესებში შედის გამარჯვება და მონინაალმდევე ჯგუფის დროშის მოპოვება. დროშის წართმევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ იგი დარჩება დაცვის, ანუ მოთამაშის გარეშე. როგორ უნდა მოხდეს ეს?

თამაშს იწყებს ის ჯგუფი, რომელიც სწორად და პირველი გასცემს პასუხს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვას, მაგალითად:

- რომელი შესიტყვებაა მცდარი?
- ა) სათვალეებიანი კაცი;
- ბ) სამყოფი ადგილი;
- გ) უკმაყოფილება გამოინვია.

ამის შემდეგ გამარჯვებული მოთამაშის გუნდი იწყებს კითხვების დასმას. ჯგუფები კითხვებს ერთმანეთს შესაჯამებელი მასალიდან უსვამენ, რისთვისაც ისინი, როგორც ვთქვით, წინასწარ არიან მომზადებულნი. თითოეულ მონაწილეს აქვს უფლება, აირჩიოს მონინაალმდევე ჯგუფის ის მოთამაშე, რომელსაც დაუსვამს კითხვას. თუ მოსწავლე ვერ უპასუხებს შეკითხვას, ტოვებს თამაშს. ჯგუფს შეუძლია შეინარჩუნოს კითხვის დასმის უფლება, თუ მისი რომელიმე წევრი სწორ პასუხს გასცემს შეკითხვას დამარცხებული მოსწავლის ნაცვლად. თუ ჯგუფი ჩააგდება კითხვას, მომდევნო შეკითხვას ისევ მოგებული ჯგუფის რომელიმე წევრი სვამს. ასე გრძელდება თამაში ერთ-ერთი ჯგუფის სრულ დამარცხებამდე, ანუ, როცა აღარ დარჩება დროშის დამცველი არც ერთი წევრი, მონინაალმდევე ჯგუფის დროშა გამარჯვებულებთან გადავა.

#### №3

### „წრეში ბურთი“

#### მიზანი:

არსებული ცოდნის განმტკიცება; კითხვების შედგენისა და დასმის უნარ-ჩვევების გამომუშავება.



გამოსდილება

რაკვიზიტი:

პატარა ბურთი

მონანილეთა რაოდენობა:

მინიმუმ – 5, მაქსიმუმ – 10

თამაშის აღწერა:

მოთამაშეები სხდებიან წრეში. თამაშს იწყებს ის, ვინც ყველაზე ადრე და სწორად გასცემს პასუხს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვას, მაგალითად:

რა შეიძლება იყოს გამჭოლი?

- ა) ქარი;
ბ) ამინდი;
გ) ბედი.

დანინაურებული მოთამაშე მასწავლებლისგან იღებს ბურთს, რომელსაც გადაუგდება, თავისი სურვილისამებრ, სხვა მოთამაშეს და უსვამს კითხვას შესწავლილი მასალიდან (ამ თამაშით შეიძლება შევჯამოთ ერთი რომელიმე ნაწარმოები ან თემატურად გაერთიანებული ვრცელი განვლილი მასალა.). თუ მოთამაშე სწორად გასცემს პასუხს, იგი მოიპოვებს შეკითხვის დასმის უფლებას, თუ ვერა – გადის თამაშიდან. სწორ პასუხს ამბობს შეკითხვის დამსმელი და მოიპოვებს მეორე კითხვის დასმის უფლებას.

მასწავლებელს შეუძლია, დასვას დამაზუსტებელი კითხვები.

გამარჯვებულის გამოვლენა:

გამარჯვებულია მოთამაშე, რომელიც ბოლოს დარჩება წრეში. ეს თამაში ეფექტურია როგორც ლიტერატურის, ასევე გრამატიკის გაკვეთილებზე.

მაგალითად, შეეძლება კლასში ჩვენ ამ თამაშით გავიმეორებოთ და შევჯამოთ კუმშვა-კვეცა.

შეგახსენებთ, რომ თამაშს წინ უნდა უძღოდეს მოსამზადებელი სამუშაო. მოსწავლეები არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას გაიღრმავებენ, არამედ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც გაიუმჯობესებენ და კითხვის დასმის ტექნიკასაც დაეუფლებიან.

№4

„გოლოსინა ასო“

მიზანი:

ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

მონანილეთა რაოდენობა:

4-5 მონანილე

თამაშის აღწერა:

პირველი ამბობს ნებისმიერ სიტყვას, შემდეგი მოთამაშე ამბობს სიტყვას წინა სიტყვის ბოლოსწინა ასოზე. ამ თამაშში მნიშვნელოვანია ერთი პირობა: მოსწავლეებმა სიტყვები უნდა დაასახელონ შესწავლილი ნაწარმოებიდან. მაგალითად, ავიღოთ ისევე სულხან-საბა ორბელიანის იგავები.

მოსწავლეები ამბობენ იგავებიდან შემდეგ სიტყვებს:

I მოსწავლე ამბობს: „მეფუნდუკე“; II – „კუ“; III – „უფლისწული“; IV – „ლომი“; V – „მაშალი“...

ის, ვინც ვერ შეძლებს სიტყვის თქმას 20 წამის განმავლობაში, გავარდება თამაშიდან.

გამარჯვებულის გამოვლენა:

გამარჯვებულია ის, ვინც ბოლოს დარჩება და სიტყვები არ გამოელევა.

თამაშის დასრულების შემდეგ შესაძლებელია გამოყენებული იგავების შინაარსის გადმოცემა და ანალიზი.

№5

„სიტყვობანა“

მიზანი:

- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
მეხსიერების ვარჯიში.

მონანილეთა რაოდენობა:

4-5 მონანილე

თამაშის აღწერა:

ზოგიერთი სიტყვა ამა თუ იმ ავტორის თხზულებებში გაუგებარია მოსწავლეებისათვის. ტექსტის გაგება-გააზრება კი წარმოუდგენელია, თუ ყოველი სიტყვის მნიშვნელობა არ გვესმის. ამიტომ, მას შემდეგ, რაც განვმარტავთ უცნობ სიტყვებს, მოსწავლეებს ვავალებ, დაისწავლონ ისინი და წინასწარ ვაფრთხილებ, რომ სწორედ ამ სიტყვების გამოყენებით ვითამაშებთ მომდევნო გაკვეთილზე ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ თამაშ „სიტყვობანას“.

მეორე დღეს, სურვილისამებრ, ვიძახებ 4-5 მოთამაშეს. პირველი ამბობს ერთ სიტყვას, მეორე – პირველი მოთამაშის ნათქვამ სიტყვას იმეორებს და უმატებს თავის სიტყვას, მესამე პიველი და მეორე მოთამაშის სიტყვას უმატებს თავისას და ასე შემდეგ. დამარცხებულია და თამაშიდან ვარდება ის, ვინც ზუსტად და თანმიმდევრულად ვერ გაიმეორებს დასახელებულ სიტყვათა რიგს. სიტყვების დასახელება იწყება თავიდან და მთავრდება, როცა ერთი მოთამაშე რჩება თამაშში.

„სიტყვობანა“ შეიძლება ვითამაშოთ ერთ ან რამდენიმე შესწავლილ ნაწარმოებში გამოყენებული სიტყვებით.

განსაკუთრებით კარგად ვიყენებ ძველი ქართული მწერლობის ნიმუშების სწავლებისას.

მაგალითად, შევისწავლეთ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ და გადაწყვიტეთ, ვითამაშოთ „სიტყვობანა“.

- ერთი მოსწავლე ამბობს – „არგანი“;
მეორე – „არგანი“, „ერგასი“;
მესამე – „არგანი“, „ერგასი“, „ზატიკი“;
მეოთხე – „არგანი“, „ერგასი“, „ზატიკი“, „კარაული“;
მეხუთე – „არგანი“, „ერგასი“, „ზატიკი“, „კარაული“, „დასპანი“...

ხუთი მოთამაშის შემთხვევაში, აგრძელებს ისევე პირველი მონანილე – „არგანი“, „ერგასი“, „ზატიკი“, „კარაული“, „დასპანი“, „ალიზი“...

თამაში გაცილებით შინაარსიანი გახდება, თუ მოსწავლეებს, გარკვეულ ეტაპზე, შევეკითხებით სიტყვების მნიშვნელობებს. მაგალითად, წაგებულ მოსწავლეს შეგვიძლია მივცეთ თამაშში დაბრუნების შანსი, თუ იგი განმარტავს სამი სიტყვის მნიშვნელობას მაინც, ან თავად განსაზღვრეთ, როდის იქნება ეს უფრო ეფექტური. ასე მოსწავლეებს ეცოდინებათ, რომ თამაშის მიზანი სიტყვების მექანიკური დაზეპირება კი არა, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაა.

№6

„სიტყვებით თამაში“

მიზანი:

ლექსიკური მარაგის გამდიდრება

რაკვიზიტები:

ფურცელი და საწერი კალამი

მონანილეთა რაოდენობა:

მინიმუმ – 4, მაქსიმუმ – თავად განსაზღვრეთ. ორგანიზების ფორმა შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური.

თამაშის აღწერა:

დანერეთ რაიმე გრძელი სიტყვა და დაანეტეთ დრო. მოცემულ დროში მოთამაშეებმა ამ სიტყვის შემადგენელი ასოებისგან უნდა შეადგინონ სხვა სიტყვები.

მაგალითად, თუ საწყის სიტყვად გვაქვს „ჰიდროელექტროსადგური“, ამ სიტყვის შემადგენელი ასოებისგან შეგვიძლია მოვიფიქროთ სიტყვები: „ლექსი“, „დრო“, „სორო“ და ასე შემდეგ.

თამაშის დაწყების წინ უნდა შეთანხმდეთ იმაზე, თუ რამდენჯერ შეიძლება გამოიყენოთ საწყის სიტყვაში არსებული ასო – ერთხელ თუ რამდენიმეჯერ.

მაგალითად, თუ საწყის სიტყვაში ასო „თ“ გვაქვს ერთხელ, შეგვიძლია თუ არა, ვწარმოთ სიტყვა „თითი“.

გამარჯვებულის გამოვლენა:

გამარჯვებულია ის, ვინც დაწესებულ დროში საწყის სიტყვის ასოებისგან შეადგენს ყველაზე მეტ სიტყვას.

№7

„ნამიოკობანა“// „ასოციაციობანა“

მიზანი:

ანალიტიკური აზროვნებისა და და ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარის განვითარება.

თამაშის აღწერა:

„ნამიოკობანას“ თამაშობს 2 გუნდი. თითო გუნდში 4-5 მონანილეა. ერთ-ერთი მოთამაშე მონიშნავს გუნდის წევრს ჩუმად ეუბნება სიტყვას ან შესიტყვებას (პროგრამით გათვალისწინებული მასალიდან). ამ უკანასკნელის მიზანია, თანაგუნდელები მიახვედროს, თუ რა სიტყვა უთხრა მონიშნავს გუნდს. მოთამაშე მათ ეუბნება ერთ სიტყვას, ე.წ. „ნამიოკს“. სულ სამი „ნამიოკის“ მიცემა ნებადართული. თუ გუნდის წევრები გამოიცნობენ ჩაფიქრებულ სიტყვას, მათ 1-დან 3 ქულამდე დაენერებათ. 3 – იმ შემთხვევაში, თუ პირველივე მინიშნებით გამოიცნეს. წარუმატებლობის შემთხვევაში 3 ქულა ენერება მეორე გუნდს და თამაშსაც ისინი აგრძელებენ.

გამარჯვებულის გამოვლენა:

თამაში გრძელდება დათქმულ ქულამდე. მაგალითად, შევისწავლეთ ილიას „მგზავრის წერილები“, ვთამაშობთ „ნამიოკობანას“.

მოთამაშემ მონიშნავს გუნდის წევრს უჩუროს სიტყვა „ფრანსიელი“. ეს უკანასკნელი თავის გუნდს ეუბნება „ნამიოკს“: „პერსონაჟი, რომელიც გვხვდება მხოლოდ I თავში“. მეორე „ნამიოკი“ შეიძლება იყოს ასეთი – „ევროპელი“, მესამე – „თანაუგრძობობს მგზავრს“.

№8

„ჩაფიქრებული პერსონაჟის გამოცნობა“

მიზანი:

პერსონაჟთა სახეების გაანალიზება.

რაკვიზიტები:

ფურცელი და კალამი

მონანილეთა რაოდენობა:

მინიმუმ – 3, მაქსიმუმ – 10, რეკომენდებულია 5-6

თამაშის აღწერა:

მოთამაშეები სხდებიან წრეში. თითოეული ფურცელზე წერს ყველასათვის ნაცნობ პერსონაჟს და ამოტრიალებულ ფურცელს მის მარჯვნივ მჯდომ მონანილეს აწვდის. მოთამაშემ არ უნდა წაიკითხო, რა წერია მის ფურცელზე, ეს იცის მხოლოდ იმ მონანილემ, რომელმაც დანერა ამ პერსონაჟის სახელი. ამის შემდეგ ყველა ერთდროულად იმაგრებს მონიშნულ ფურცელს შუბლზე (შეიძლება მარტივად ენით დავასველოთ და მივიმაგრეთ).

თამაშის მიზანია, ყველა მოთამაშემ გამოიცნოს თავისი

პერსონაჟი. თითოეულ მოთამაშეს აქვს უფლება, დასვას მხოლოდ ათი კითხვა. მიიღება მხოლოდ ის კითხვები, რომლის შესაძლო პასუხია „კი“ ან „არა“. მონანილეს შეუძლია ზედიზედ რამდენიმე კითხვის დასმა უარყოფითი პასუხის მიღებამდე. მას შემდეგ, რაც პირველი მოთამაშე კითხვაზე უარყოფით პასუხს მიიღებს, ჯერი მომდევნო მოთამაშეზე გადადის.

გამარჯვებულის გამოვლენა:

გამარჯვებულია მოთამაშე, რომელიც პირველი გამოიცნობს საკუთარ პერსონაჟს.

№9

„მჯერა/არ მჯერა“

მიზანი:

ფაქტობრივი მასალის – მოქმედების ადგილის, დროის, მონანილეების, საქმის ვითარების, მოვლენათა თანამიმდევრობის, პერსონაჟთა ქცევის ამსახველი ინფორმაციის, ციტატების, სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებების, ისტორიული ფაქტების გამოვლენა და ცოდნის განმტკიცება.

მონანილეთა რაოდენობა:

მინიმუმ – 2, მაქსიმუმ – 10, რეკომენდებულია – 5-6

თამაშის აღწერა:

მოთამაშეები სხდებიან წრეში. პირველი მოთამაშე ასახელებს ფაქტს, რაც შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი. მის მარჯვნივ მჯდომი მოთამაშის ამოცანაა, გამოიცნოს, სიმართლეს ამბობს თუ იტყუება პირველი მოთამაშე და, შესაბამისად, უპასუხოს „მჯერა“ ან „არ მჯერა“. თუ ვერ გამოიცნო სწორად, იგი გავარდება თამაშიდან.

მაგალითად:

პირველი მოთამაშე ამბობს:

„გოგჩა არის ტბა სომხეთში.“

მარჯვნივ მჯდომი ამბობს – „მჯერა.“

რადგან ეს პასუხი სწორია, იგი აგრძელებს თამაშს. თუკი მან თქვა „არ მჯერა“, გავარდება თამაშიდან.

გამარჯვებულის გამოვლენა:

გამარჯვებულია მოთამაშე, რომელიც თამაშში დარჩება ბოლომდე.

№10

„სამასოობანა“

მიზანი:

მარტივი წინადადებების შედგენაზე ვარჯიში.

თამაშის აღწერა:

ეფექტურია სწავლების დაწყებით საფეხურზე. შესწავლილი ნაწარმოებიდან (მაგალითად, „ძალა ერთობისა“) ვასახელებთ სამოსიტყვიანი წინადადების პირველ ასოებს და ბავშვებმა უნდა გამოიცნონ ეს წინადადება, მაგალითად:

ო ვ ჰ – ოცდაათი ვაჟი ჰყვა;

მი კ – მოატანინა ისრების კონა;

ძ ა ე – ძალა არის ერთობაში.

და ა.შ.

თუ მოთამაშემ გამოიცნო ჩაფიქრებული წინადადება, იწერება 3 ქულა, თუ შეადგინა მსგავსი – 1 ქულა.

ამრიგად, შედეგი თვალსაჩინოა:

თამაშ-თამაშით შემოგვესწავლა პროგრამული მასალა, სწავლა-სწავლების პროცესი გახდა სახალისო, მოსწავლეებს აუმაღლდათ მოტივაცია, მიიღეს ცოდნა და განუვითარდათ სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარი; მიეჩვივნენ სავარაუდო შეკითხვების წინასწარ ჩამოწერას; ტექსტიდან ფაქტობრივი ინფორმაციის წინასწარ მოგროვებას; ტექსტის პარაფრაზირებას (რაც ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას და, შესაბამისად, დამახსოვრებას); აზრის მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებას; არგუმენტირებულ მსჯელობასა და ადეკვატური დასკვნების გამოტანას; ციტატების გამოყენებას საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად; დეკავშირებისა და თანამიმდევრულობის შესაბამისი ხერხების გამოყენებას; ისწავლეს სხვათა აზრის პატივისცემა, მოსმენა და თანამშრომლობა.

რუსულად ნაღარევილი ბათუმის №9 საჯარო სკოლა

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. საგანმანათლებლო თამაშები – http://buki.ge/programs-list.html
2. მაია ფირჩხაძე, „თამაშის გამოყენება ახალი მასალის ახსნის გაკვეთილზე“ – http://matsavlebeli.ge/?p=10034
3. სასწავლო თამაშები – http://ge.game-game.com/tags/469/
4. როგორ შევარჩიოთ სასწავლო თამაშები? – https://edu.aris.ge/news/rogor-SevarCioT-saswavlo-TamaSi.html
5. საგანმანათლებლო თამაშების ნაკრები – http://ncp.ge/ge/saganmanatleblo-tamashebi/tamashi-gcompris-813
6. რა თამაშები უფრო მოსწავლეებს სკოლაში ახალი სასწავლო წლიდან? – https://www.allnews.ge/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%





**სასწავლო პროგრამები**  
ნიგონი მოსწავლეებისთვის  
11 ლარი

**ქართული I-VI კლასები**  
ნიგონი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.  
11 ლარი

**პროფესიული უნარები**  
დაგეგმვა  
სასწავლო პროგრამის განხორციელება  
მასწავლებლისთვის  
15 ლარი

**ტესტების ქრებულნი**  
მასწავლებლისთვის  
პროფესიული უნარები  
ტესტები  
15 ლარი

**მასწავლებლის სამუშაო რეპერტიუარი**  
4 ლარი

**ინტერაქტიული მეთოდების ქრებულნი**  
6 ლარი

**კითხვების გეგმის კორექტირება**  
6 ლარი

**მასწავლებლის კალენდარი**  
5.50 ლარი

**სწორი დაწყებითი პედაგოგისთვის**  
14 ლარი

**ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში**  
6.50 ლარი

**მასწავლებლის მუშაობის ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში**  
6.50 ლარი

**მასწავლებლის მუშაობის ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში**  
6.50 ლარი

**მოქალაქეთა საბაზისური გამოცდებისთვის**

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხვნი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამოცემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [fb.com/bakursulakauripublishing](http://fb.com/bakursulakauripublishing)

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

**ნაძიცი და მომინი ანბანი**  
სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისთვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცემისთვის.

**ქართული ანბანი**  
ერთი კრებულის ფასი - 32.40 ლ

**ქართული ანბანი**  
ერთი კრებულის ფასი - 17.70 ლ

**კვლევის დასახმარებელი**

**სამოძებრო გაკვეთილი**  
12 ლარი

**პროფესიული უნარები**  
ყურადღებო აქტივობები  
9 ლარი

**პროფესიული უნარები**  
Cavabları ilə önəmli suallar  
9 ლარი

**„ინტერაქტი“ და „ბრტანჯი“ მთავრობის**

**ინტერაქტი**  
15 ლარი

**ბავშვობის მეთაბრები**  
19 ლარი

**ქართული ენის გრაფიკა**  
7 ლარი

**ქართული ენის გრაფიკა**  
8 ლარი

**ქართული ენის გრაფიკა**  
4 ლარი

**თამაზ ვახაძე**  
12 ლარი

**თამაზ ვახაძე**  
12 ლარი

**გიოლოგია**  
6 ლარი

**გიოლოგია**  
20 ლარი

**ისტორია**  
10 ლარი

**ისტორია**  
10 ლარი

**გიოლოგია**  
10 ლარი

**გიოლოგია**  
12 ლარი

**გიოლოგია**  
10 ლარი

**გიოლოგია**  
39.90 ლარი

**ტესტები ქართულ ლიტერატურაში**  
საბაზისური და პროფესიული გამოცდებისთვის

**ტესტები**  
ნიგონი I-VIII სს მწერლობა  
ნიგონი II XIX საუკუნის მწერლობა  
ნიგონი III XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

**სალომონის თანხა**  
მიმღები - შპს „საბაზისური გამოცდებისთვის“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22  
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით: 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23